სს "თიბისი ბანკის" წამახალისებელი გათამაშების წესები და პირობები

ოქტომბერი 2015 წელი

1. გათამაშების პერიოდი და თარიღი:

1.1. გათამაშება ჩატარდება 2015 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

1.2. გათამაშების ბილეთების დაგროვება მოხდება 2015 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.3. გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ყოველთვიურად, სულ 3-ჯერ.

1.4. ყოველთვიური გათამაშება ჩატარდება: 11 ნოემბერს, 11 დეკემბერს, 15 იანვარს .

1.5. სუპერ პრიზის და დეკემბრის პრიზის გათამაშება მოხდება 15 იანვარს.

1.6. გათამაშება გაიმართება თიბისი ბანკის ცენტრალურ ფილიალში, რომლის მისამართია: 0179, ჭავჭავაძის გამზირი 11

1.7. გათამაშების ტრანსლაცია არ მოხდება პირდაპირი ეთერით (მოხდება გათამაშების ჩაწერა და შენახვა)

2. გათამაშებაში მონაწილეები/მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობა:

2.1. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ და ბილეთების მისაღებად ქულების დაგროვებას შეძლებენ თიბისი ბანკის კლიენტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ან უკვე რეგისტრირებულნი არიან ინტერნეტ ბანკის სერვისზე და გათამაშების პერიოდში განახორციელებენ ქვემოთჩამოთვლილი ქმედებიდან ერთს ან რამოდენიმეს:

- შევლენ ინტერნეტ ან მობაილ ბანკში;
- ინტერნეტ ან მობაილ ბანკით განახორციელებენ ტრანზაქციებს;
- ან ინტერნეტ ბანკით გახსნიან: ანაბარს, აიღებენ Prime Card-ს, განვადების ბარათს გაზრდიან საკრედიტო ლიმიტს, ან აიღებენ წინასწარ დამტკიცებულ სესხებს[1]

2.2. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი პირი;

2.3. გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებენ სს თიბისი ბანკის თანამშრომლები;

2.4. გათამაშების გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება დოლურის პრინციპით;

2.5. ყოველთვიური გათამაშებისას მოხდება კლიენტის მიერ, წინა კალენდარულ თვეში დაგროვილი ბილეთების ჩაყრა დოლურაში.

2.6. **1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით** დაგროვილი ბილეთები მონაწილეობას მიიღებს 11 ნოემბრის გათამაშებაში.

2.7. **1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით** დაგროვილი ბილეთები მონაწილეობას მიიღებს 11 დეკემბრის გათამაშებაში. აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს წინა თვეში(ოქტომბერში)დაგროვილი ბილეთები.

2.8. **1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** დაგროვილი ბილეთები მონაწილეობას მიიღებს 15 იანვრის გათამაშებაში. აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს წინა თვეში(ნოემბერში)დაგროვილი ბილეთები.

2.9. **სუპერ პრიზის გათამაშება გაიმართება ასევე 15იანვარს -** და მასში მონაწილეობას მიღებს ყველა კლიენტი, რომელიც დეკემბრის თვეში დააგროვებს ბილეთს.

3. ბილეთების დათვლის პრინციპი:

[1] თიბისი ბანკი, წინასწარ უმტკიცებს სესხებს თიბისი ბანკის კლიენტებს. იმისათვის, რომ კლიენტმა გაიაქტიუროს წინასწარ დამტკიცებული სესხი საჭიროა შეავსოს განაცხადი და დაეთანხმოს პირობებს.

3.1. 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, კლიენტებს შესაძლებლობა ექნებათ ყოველ კალენდარულ თვეში დააგროვონ გათამაშების ბილეთები.

3.2. გათამაშების ბილეთების დაგროვება შესაძლებელი იქნება შემდეგი ოპერაციების განხორციელებისას დაგროვილი ქულებით:

<u>ინტერნეტ ბანკის შემთხვევაში</u>

3.3. ყოველ ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერაციის შესრულებაზე კლიენტი დააგროვებს ქულებს.

- **ინტერნეტბანკში შესვლა - 1 ქულა**
- **პირად ანგარიშებს შორის გადარიცხვა ან კონვერტაცია - 2 ქულა**
- **ნებისმიერი სხვა ტიპის გადარიცხვა – 2 ქულა**

  გადარიცხვებში იგულისხმება:
  - თიბისი ბანკში სხვა კლიენტთან გადარიცხვა
  - სხვა ბანკში გადარიცხვა
  - საბიუჯეტო გადარიცხვა
  - მობილური ბალანსის შევსება
  - კომუნალური გადახდები
  - სხვა გადახდები (მაგ. ამანათის ტრანსპორტირება, ტოტალიზატორებში ბალანსის შევსება, დაზღვევის გადასახადი და გადახედების მენიუში არსებული ყველა სხვა გადახდა)
  - ჯარიმების გადახდა
- **ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების შეძენა - 1 პროდუქტში 2 ქულა**
  - ვადიანი ანაბარი;
  - ჩემი მიზანი;
  - ჩემი სეიფი;
  - საკრედიტო ან განვადების ბარათი;
  - საკრედიტო ლიმიტის ზრდა ან წინასწარ დამტკიცებული ავტომატური სესხის აღება

<u>**მობაილ ბანკის შემთხვევაში,**</u> ინტერნეტ ბანკთან შედარებით, კლიენტს 2-ჯერ მეტი ქულა ერიცხება ყველა ზემოთჩამოთვლილ ქმედებაზე. გამონაკლისია პროდუქტების შეძენა, რაც მხოლოდ ინტერნეტ ბანკით არის შესაძლებელი.

3.4. ბილეთების დაგროვების ფორმულა:

- **5 ქულა = 1 გათამაშების ბილეთს.**
- ერთ კლიენტს შესაძლებლობა აქვს კალენდარულ თვეში დააგროვოს **მაქსიმუმ 25 ქულა = 5 გათამაშების ბილეთი.**

3.5. დეტალური მაგალითი 1

კლიენტმა ***ოქტომბრის თვეში*** განახორციელა შემდეგი ტიპის და მოცულობის ტრანზაქციები, რომლითაც 11 ნოემბრის გათამაშებისთვის დააგროვა 5 გათამაშების ბილეთი.

შევიდა ინტერნეტ ბანკში - 10-ჯერ	**10 ქულა**
შევიდა მობაილ ბანკში - 5-ჯერ	**10 ქულა**
ინტერნეტ ბანკით შეივსო მობილურის	**2 ქულა**

ბალანსი - 1-ჯერ	
მობაილ ბანკით შეივსო მობილურის ბალანსი- 5-ჯერ	**20 ქულა**
მობაილ ბანკით გადაიხადა კომუნალური გადახდები - 7-ჯერ	**28 ქულა**
ინტერნეტ ბანკით გახსნა ანაბარი ჩემი მიზანი	**2 ქულა**
სულ	**72 ქულა , მაგრამ რადგან გათამაშების პირობის თანახმად კლიენტს შეუძლია მაქსიმუმ 25 ქულის დაგროვება კლიენტმა მიიღო 5 გათამაშების ბილეთი**

3.6. დეტალური მაგალითი 2

იგივე კლიენტმა ***ნოემბერში*** განახორციელა შემდეგი ტიპის და მოცულობის ტრანზაქციები და 11 დეკემბრის გათამაშებისთვის დააგროვა 1 გათამაშების ბილეთი.

შევიდა მობაილ ბანკში - 3-ჯერ	**6 ქულა**
შევიდა ინტერნეტ ბანკში- 3-ჯერ	**3 ქულა**
სულ	**9 ქულა = 1 ბილეთი (9/5)**

3.7. დეტალური მაგალითი 3

იგივე კლიენტმა **დეკემბრის** თვეში არ განახორციელა არც შესვლა და არც ტრანზაქცია ინტერნეტ და მობაილ ბანკით და შესაბამისად არ დააგროვა 15 იანვრის ყოველთვიურ და სუპერპრიზის გათამაშებისთვის ბილეთი.

4. გათამაშების პროცედურა:

4.1. გათამაშება გაიმართება 11 ნოემბერს, 11 დეკემბერს და 15 იანვარს საღამოს 20:00 საათზე
4.2. გათამაშება შედგება დოლურაში ბილეთების ჩაყრის პრინციპით.
4.3. ბილეთები დოლურაში მოთავსდება უშუალოდ გათამაშების წინ.
4.4. ყოველთვიური გათამაშების დასრულებისთანავე მოხდება დარჩენილი ბილეთების გადატანა სპეციალურ ტომარაში და მისი განადგურება.
4.5. კლიენტი დაგროვილი ბილეთების შესახებ ინფორმაციას მიიღებს SMS-ის საშუალებით, ყოველი კალენდარული თვის ბოლოს მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.
4.6. ბილეთებზე მოხდება გათამაშებაში მონაწილე კლიენტების უნიკალური ნომრების და კლიენტის სახელი გვარის დატანა .
4.7. გათამაშების ბილეთზე მითითებული უნიკალური ნომერი (რომელიც წარმოადგენს კლიენტის იდენტიფიკატორს საბანკო პროგრამაში) და კლიენტის სახელი და გვარი იქნება გამარჯვების შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკატორი. ამ უნიკალური ნომრის და კლიენტის სახელის და გვარის მეშვეობით შესაძლებელი იქნება გამარჯვებულის გამოვლენა.
4.8. აქციის პერიოდის განმავლობაში ბილეთების დაბეჭდვა და მათი გადაცემა გათამაშებაში მონაწილე კლიენტებისთვის არ განხორციელდება.
4.9. გათამაშებას დაესწრება კომისის თავჯდომარე და წევრები.

4.10. დასაშვებია, რომ დოლურიდან ამოღებული ბილეთის მიხედვით ერთი და იგივე კლიენტი აღმოჩნდეს რამდენჯერმე გამარჯვებული.

5. პრიზები

5.1. ყოველთვიურად გამოვლინდება 10 გამარჯვებული, ხოლო ბოლო თვეს 10 გამარჯვებულთან ერთად გამოვლინდება 1 სუპერ პრიზის გამარჯვებული.

5.2. ჯამში აქციის შედეგად გამოვლინდება 31 გამარჯვებული.

5.3. ჯამური საპრიზო ფონდი სრული გათამაშების(1ოქტომბრიდან 15 იანვრის ჩათვლით) შეადგენს დარიცხულ 109,453 ლარს.

5.4. **11 ნოემბრის გათამაშებაზე** მოხდება 10 ცალი iPad Mini-ის გათამაშება

5.5. **11 დეკემბრის გათამაშებაზე** მოხდება 10 ცალი iPhone6-ის გათამაშება.

5.6. **15 იანვრის გათამაშებაზე** მოხდება 10 გამარჯვებულისთვის 1000 ლარის გადაცემა და ასევე სუპერ პრიზი სახლის გათამაშება.

5.7. თავდაპირველად მოხდება 10 ცალი ბილეთის ამოღება რომელიც მოიგებს 1000 ლარს ხოლო ბოლოს მოხდება 1 ცალი ბილეთის ამოღება, რომელიც მიიღებს საჩუქრად სუპერ პრიზს- სახლს.